როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა დაინტერესება კლასის საათის მიმართ

მარიანა მაისურაძე

თამთა მანაგაძე

მაკა ჭეჭელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება თბილისის მე-16 საჯარო სკოლის VII-ა და IX-ბ კლასებში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის ფარგლებში სადამრიგებლო საათის მიმართ მოსწავლეებში ინტერესის გაზრდას.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა საკითხის სიღრმისეული შესწავლა, პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, შედეგების შეფასება და სკოლისათვის გრძელვადიანი რეკომენდაციების შემუშავება.

პრობლემის დიაგნოსტიკის ეტაპზე გამოვლინდა გაკვეთილის დაგეგმვასთან, დაგეგმვის პროცესში კოლეგებისა და მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და შემუშავდა შესაბამისი ინტერვენციები.

ინტერვენციების შეფასება აჩვენებს, რომ სამიზნე კლასებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეების ინტერესი სადამრიგებლო საათის მიმართ და ასევე, გაიზარდა სადამრიგებლო საათზე მოსწავლეთა დასწრება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კლასის საათი, პრაქტიკული კვლევა, lesson study